

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

"საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტის 121 წევრის მიერ წარმოდგენილი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანოციერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტს, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების მონაწილეობით უზრუნველყოს "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზება.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2002 წლის 18 იანვარი.
N 1249 -რს